№ 218 თბილისის მოამგე

საქართველოს რესპუბლიკა

ქოველდღიური გაზეთი

წელიწადი მესამე

ფასი 10 მან. სამშაბათი, სექტემბრის 28 1920 წ.

წოდების ბოძებე, ყოველდღიური გაზეთი
ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით.

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი უველგან 10 მ.ნ. გახსნადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ხე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 100 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

საქართველოს მუზეუმის სამეურნეო საბჭო.

აცხადებს

კონკურს მუზეუმის ბიბლიოთეკის გამგის თანამდებობაზე.

კონკურსში მონაწილენი ოქტომბრის 20-დის სამეცნიერო საბჭოსადმი მომართულ თხოვნასთან ერთად, აცნობებენ მუზეუმის ადმინისტრაციას: (ლორის-მელიქოვის ქუჩა № 10).

ა) Curriculum vitae-ს.

და ბ) საბიბლიოთეკო მოღვაწეობის სტაჟს.

კონკურსში მონაწილეებ უნდა იცოდენ რამდენიმე უცხო ენა.

სჯსურველია უმაღლესი განათლება და აგრეთვე ქართული ენის ცოდნა.

თხოვნების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან 2 საათამდის მუზეუმის კანცელარიაში.

2896. 3—2.

სამხედრო სამინისტროს სამნეო განყოფილება

ამით აცხადებს რომ 1920 წ. 6 ოქტომბერს დილის 12 საათზედ ზემოხსენებულ განყოფილებაში სიტყვიერი და წერილობითი განცხადებით

საჯარო ვაჭრობით იჯარით გაიცემა ექვსი თვის ვადით ტფილისიდან მანგლისში და აღგულაღში საზედრო ცხვრითის ზიდვა.

დაწვრილებითი ცნობები მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ყოველ დღე სამნეო განყოფილების სასურსათო სექციაში (ბარიათინის ქუჩა № 10) დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის. 3—3

904

სახელმწიფო ოპერა.

სეზონი 1920—1921 წ.

დახის შემადგენლობა: (ანბანზედ)

ქალები: სოპრანო:

ალეშკო მ. ი.
ბაიარსკაია ნ. ე.
ბურაგო-ცეხანოვსკაია ვ. ვ.
ვალკონსკია.
ვოლ-ლევიცკაია ა. ხ.
ვიშვირსკაია-ცაგარელი მ. ა.
მანდენოვა ს. გ.
მაზოვაცკაია ნ. გ.
მასტი ფ. გ.
კალანდაძე ო. ს.
რისი ო. ლ.
ოქროპირიძე
სპრიშევსკაია დ. ტ.

მეცო-სოპრანო.

ერმოლინსკაია ა. ბ.
პანინა ნ. ი.
იანსა მ. ა.
შელუდკოვსკაია ნ. გ-ძე.
ფ. ხ.
ერვანდელი.
ოვსიანიკოვა ლ. ა.
ნეიშანი ბ. მ.
ზასლავსკაია ო. ფ.

კაცები: ტენორები

ზალიპსკი ზ. ი.
კურბატოვი ა. ე.
მოჩანოვი ი. პ.
სარაჯიშვილი. პ.
ჭუმბურიძე ა.

ბარიტონები:

ბალაბანი ა. ა.
ვენაძე გ. ი.
დროზდო-პოლიაევი ფ. ნ
ინაშვილი ა. ი.
თარხან-მოურავი მ. ი.

ბასები:

დემიანენკო ა. ზ.
ისეცკი ლ. ნ.
იმერლიშვილი ე. ი.
საბინინი იუ. დ.
ნიროვი ნ. პ.
ეზროვი ნ. ს.
ორლიუკი ს. ა.
ჭურხული გ. ა.

ბალეტი 12 წყვილი, ბალეტმეისტერი ს. ფ. **ვაკერეცის** და პრიმა-ბალერინა **ბაუერზაკსის** მ. ე. ხელმძღვანელობით. რეჟისორები: ბელსკი ა. დ., ჟლენტი ვ. ლ. და გურესი ა. ა. გუნდის ხელმძღვანელი სვიმონიშვილი ლ. ია. დირიჟორები: სტოლერმანი ს. ა., ჩერეზინი ნ. ნ. და მიზანდარი. კონცერტმეისტერები: საბინ-გუს ე. დ., სოკოლოვა ლ. ვ., გოლდმანი ლ. ი., ფალიაშვილი ჟანნა. სუფლიორები: ნიკოლაევი ხ. ი. და სარაჯიშვილი ა. გ.

გუნჯის 50 კაცი — ორკესტრი 50 კაცი.

მუსიკალურ ნაწილის გამგე ფოცხვერაშვილი პ. გ. სამხატვრო ნაწილის გამგეები. ზალკანი ა. ა. და სიმონოვი ვ. ა. ოპერის დირექტორი **„ს. ი. ყვლახიშვილი.**

სეზონი გაიხსნება

ხუთშაბათს, 30 სექტემბერს სრულიად ახალი მოწყობილობით, ახალ დეკორაციებით, ახალი ტანისამოსით და გაძლიერებული ხოროთი ორიგინალური ქართული ოპერა მუსიკა ზ. პ. ფალიაშვილისა. **„აბესალომ და ეთერი“**, დასდგამს ა. რ. წუწუნავა. დირიჟორობს ავტორი ზ. პ. ფალიაშვილი. პარასკევს, 1 ოქტომბერს **„პიკის ქალი“**. ოპერა 4 მოქ., მუსიკა ჩაიკოვსკისა. დირიჟორი სტოლერმანი. შაბათს, 2 ოქტომბერს **„რიგოლეტო“**, ოპერა 4 მოქ., მუსიკა ვერდისა დირიჟორი სტოლერმანი.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დღის 11 საათ. დღის 3 საათ. და საღამოს 6 საათიდან წარმოდგენის გათავებამდე. დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზედ.

სახელმწიფო თეატრის ადმინისტრაცია.

909

ტფილ. ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს მცხოვრებთა საყურადღებოთ,

რომ გამგეობის აგენტები, რომელთაც დავალებული აქვთ ბინების გამოკვლევა-დათვალიერება თვითეულ კერძო შემთხვევაში, აღჭურვილნი იქნებიან გამგეობის წევრის მიერ ხელმოწერილი ორდერით დასახელებული სახლის ანუ ბინის გასინჯვის შესახებ.

906 3—3

ქუთაისის საშუალო სამეურნეო სასწავლებელში

საჭიროა მასწავლებელი

ბუნების მეტყველებაში—ორი მხსწავლებელი, სპეციალურ საგნებში—3 მასწავლებელი, ერთი ლაბორანტი—ქიმიკოსი, ერთი ფერშალი და 1 ეკონომი.

მასწავლებელთათვის საჭიროა უმაღლესი განათლება—იმ შემთხვევაში თუ უმაღლეს სწავლა დამთავრებულნი მასწავლებლები არ მოიპოვებიან—შეიძლება იქნენ დანიშნულ საშუალო და სპეციალური სწავლა მიღებულნი.

თხოვნები და curruculum vitae უნდა გამოიგზავნოს ქუთაისის საშუალო სამეურნეო სასწავლებლის დირექტორის სახელზე. პირობების გაგება შეიძლება სასწავლ. კანცელარიაში.

910 1—1 **სასწავლებლის დირექტორი ვ. ხოფერია.**

ოფიციალური განყოფილება.

განკარგულებანი

შინაგან საქმეთა მინისტრისა.

16 აგვისტო, 1920 წ., № 50.

ინიშნება: შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანაშემწენი გრიგოლ იოსების ძე ბახტაძე და ალექსანდრე დავითის ძე ჭანკვარაძე, და მოქალაქე შალვა მიხეილის ძე ლეკვეიშვილი პირველი და მეორე ამავე კანცელარის საქმის მწარმოებლად ამა წლის 20 ივნისიდან, უკანასკნელი კი საქმის მწარმოებლის თანაშემწედ.

22 სექტემბერი, 1920 წ., № 57.

აფხაზეთის კომისარიატის დამოწმებით აფხაზეთში შესაფერისი წესრიგის დამყარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ რაზმს.

აღვნიშნავ რა სიამოვნებით ამ მოვლენას, მადლობას უცხადებ სამსახურის სახელით ხსენებულ რაზმის უფროსს ბ.ნ. უშბავას მისი ნაყოფიერი და დაუღალავი შრომისათვის.

მინისტრის ამხ. ჯუბინაძე.

იუსტიციის მინისტრისა.

16 სექტემბ., 1920 წ., № 330.

ჩაირიცხოს: სასამართლოს თანამდებობათა შტატ გარეშე უმცროსი კანდიდატი დავით ბესარიონის ძე კაკაბაძე. იმავე წოდებით, ქუთაისის ოლქის სასამართლოს უმცროს კანდიდატის შტატიან თანამდებობაზე ამა წლის სექტემბრის 21-დან.

18 სექტემბერი, 1920 წ., № 331.

დაინიშნოს: თანახმად თხოვნისა, ქ. ტფილისის 1 უბნის მომრიგებელი მოსამართლე მიხეილ ივანეს ძე ტერიაშვილი ჯავახეთში ქალაქ ახალქალაქის უბნის მომრიგებელ მოსამართლედ ამა წლის სექტემბრის 18-დან.

№ 332.

1919 წ. ივლისის 9-ის № 165 ბრძანების დამატებად მომრიგებელი მოსამართლე ფირალაშვილი დაინიშნოს ჯავახეთში ქალაქ გარეშე პირველ უბნის მომრიგებელ მოსამართლედ ამა წლის სექტემბრის 20-დან.

№ 333.

1920 წ. ივლისის 15-ის № 275 ბრძანებეს დამატებად გებელის მოსამართლის თანამდებობის აღმასრულებელი სოლომონის ძე გელიაშვილი დაინიშნოს ჯავ. ქალაქ გარეშე მეორე უბნის მომრიგებელ მოსამართლედ სექტემბრის 20-დან.

22 სექტემბერი, 1920 წ., № 336.

დაინიშნოს: ქ. ერევანის მეორე უბნის ყოფილი გამომძიებელი სერგი მიხეილის ძე ლოტოიანცი ჯავახეთის 1 უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად ამა წლის სექტემბრის-22-დან.

№ 335.

განთავისუფლებულ იქმნას: თანამდებობიდან და დათხოვნილ სრულიად სამსახურიდან ნაციონალიზაციის გამო, სალიკვიდაციო ფულის მიცემით, ჯავახეთის 1 უბნის გამომძიებლის თ.ია. სერგი გაბრიელის ძე ტკაჩევი ამა წლის სექტემბრის 22-დან,

იუსტიციის მინისტრი ნ. არსენიძე.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

24 სექტემბერი, 1920 წ., № 269.

დანიშნულ იქმნას: ტფილისის აქციზის სამართველოს ბუღალტერის თანაშემწე ივანე ნიკოლოზის ძე ხახაძე ახალქალაქის მაზრის ინსპექტორის უფროს თანაშემწედ ამა 1920 წ. 26 სექტემბრიდან.

№ 270.

დანიშნულ იქმნას: სოხუმის ოლქის აქციზის ინსპექტორის უმცროს თანაშემწედ ალექსანდრე თომას ძე დეკეტრაძე ამა 1920 წ. 16 სექტემბერიდან.

№ 271.

დანიშნულ იქმნას: ტფილისის აქციზის ინსპექტორის უმცროს თანაშემწედ იოსებ ვასილის ძე ლორთქიფანიძე ამა 1920 წ. 26 სექტემბრიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი

ს. ავალიანი.

სახელმწიფო ბანკის მმართველისა

სექტემბერი, 1920 წ.

დაინიშნენ: ოლღა იგნატეს ასული შავლაძე სახელმწიფო ბანკის მოანგარიშეთ ამა წლის 15 სექტემბრიდან; მანჭანით გადამწერი ირმა ალექსანდრეს ასული მაყაშვილი და თამარა გიორგის ასული გეგენავა იმავე ბანკის კანტორის მოხელეთ, და ნინო ნიკოლოზის ასული კარიჭაშვილი იმავე ბანკის მანჭანით გადამწერათ, სამივენი ამა წლის 1 სექტემბრიდან.

მმართველი ი. **ლორთქიფანიძე.**

საქართველოს სენატის თავმჯდომარისა

3 სექტემბერი, 1920 წ., № 27.

თავისუფლდება თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან საქართველოს სენატის მდივანი მოსე გაბრიელის ძე შანიძე 1920 წ. სექტემბრის 1-დგან, თანახმად მისი თხოვნისა.

1920 წ., სექტემბრის 22.

№ 30.

თავისუფლდება თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან საქართველოს სენატის კანცელარიის მოხელე ელენე ვლადიმერ სვიმონიშვილის ასული 1920 წლ. სექტემბრის 16-დგან, თანახმად მისი თხოვნისა.

საქართველოს სენატის თავმჯდომარის ამხანაგი ი. **ჯაფარიძე.**

საქართველოს სენატისა.

20 სექტემბრს, 1920 წ., № 10.

თავისუფლდება თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან სოხუმის ოლქის სასამართლოს წევრი ვლადიმერ ნიკიფორეს ძე კანდელაკი 1920 წ. აგვისტოს 1-დგან, თანახმად მისი თხოვნისა.

საქართველოს სენატის თავმჯდომარის მაგიერ მისი ამხანაგი ი. **ჯაფარიძე.**

არა ოფიციალური განყოფილება.

ევროპის სოციალისტური დელეგაცია პროვინციაში.

ქართლში

გორი.

23 სექტემბერი. ტფილისიდან საგანგებო მატარებელი ჯერ კიდევ ღამით გავიდა. მცხეთას გავცდით, რომ ინათლა და ქართლის ატეხილ ჰალებს მზის სხივები გადაეკრა. მატარებელი ნელა უახლოვდება სადგურს. ოდესღაც ცოცხალ სადგურს მხოლოდ დანგრეული შენობები შერჩენია, ხალხი კი მას გასცლია და მიტინგიც სადგურიდან (ქორ.) მოშორებით გაუმართავთ. ესტრადა ჯერ ვნურად არის მორთული ყვავილებით, კირლიანდებით, მარქსისა, ენგელსის და სხვა გამოჩენილ სოციალისტ მოღვაწეთა სურათებით. ესტრადის ირგვლივ თავი მოუყრია რკინის გზის მუშებს, გვარდიელებს და საერთოდ ყველას, ზოგიც ეხლა გამორბიან ქალაქიდან. აი აგერ მოიმღერიან მეჯვრისხვედრი გლეხები, რომელთაც წინ მოუძღვით წითელი დროშა, რომელიც სალამის რხევით თავს ევლება თავის ლაშქართ, კ. გვარჯალაძე სათითაოდ აცნობს ხალხს სტუმრებს და ამის შემდეგ ტრიბუნაზე ადის სოფლელი გლეხი **გიორგი მელაძე.** ჭალარა მოხუცი, უბრალო სოფლელი, რომელსაც ალბად არ უნახავს სკოლის კარები და დღესაც ის ფარაჯაშია გამოხვეული, რომელსაც ერთი საათით დაუგდია ყანაში თოხი და მოსულა სტუმრების პატივსაცემლათ, ყველაზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს. მან სხვათა შორის, სთქვა: „ჩვენმა თავისუფლებამ საშვალება მოგვცა გვენახა უცხოელი სტუმრები. ყველამ ვიცით თუ რა დაგვიჯდა ეს თავისუფლება. მტერს აღებული ვყავდით, შიგნით და გარედ გვებრძოდა ის და ჩვენც უნდა მოგვენახა ჩვენი საკუთარი გზა, გზა ჩვენი ხალხის ხსნისა და გადარჩენისთ და განა ეს თავისუფლება შეგვრჩებოდა, რომ რუსეთის ანარქიას ბოლომდი გავყოლოდით“? მეორე სიტყვას ამბობს გორის მუშათა ორგანიზაციის წარმომადგენელი **ვ. ბარნოვი,** რის შემდეგ მუშა **ჯაბაურიძა** წაიკითხა თავისი ლექსი, რომელიც რენოდელს გადასცა, ვინაიდან მან მოისურვა წაეღო ამ მუშის ნაწერი ლექსი. საპასუხო სიტყვით გამოდის **რენოდელი,** რომელიც სხვათა შორის ამბობს: „ერთმა თქვენმა ამხანაგმა მუშამ ტფილისში გვითხრა: ჩვენ გვაქვს დიდი თავისუფლება, მარა ჩვენ გვაქვს ამავე დროს დიდი შიმშილიო. ეს არის უდიდესი გასაჭირი, თქვენ უნდა სძლიოთ მას. თქვენ გაქვთ უდიდესი რწმენა თქვენი სიმართლისა, მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა ცოდნა, საჭიროა უდიდესი ორგანიზაცია. თქვენ გაქვთ ტრადიცია ამ ორგანიზაციის ჩასახული ძველი წყობილების დროს და ამ ტრადიციამ გადაარჩინა საქართველო ბალშევიზმს. თქვენ გაიგეთ რევოლიუცია ისე, როგორც აღმშენებლობითი და აღორძინებითი მუშაობა. არ არის სოციალიზმი ის, როცა ქვეყანა ნადგურდება და ეღუპრდება. და თქვენი ორგანიზაცია კი თავდებია იმის, რომ თქვენ მომავალშიც სძლევთ ყოველგვარ გამარჯვებასო“.

ხაშური.

ხაშურის სადგურში თავმოყრილი დიდძალი ხალხი შორიდანვე დავინახეთ. მოისმის ინტერნაციონალის ხმები, მას ყვება ვაშა და ეს გამოძახილი მოფრიალე წითელ დროშებთან ერთად აღდგენს მოგონებაში ხაშურის მუშათა წარსულს, მათ თავგანწირულ ბრძოლას და საერთო საქმისთვის გაღებულ მსხვერპლს. რკინის გზის მუშები, გვარდიელები, მოქალაქენი, ქალი და ბავშვი წითელმოყრილია ამ დროშების ქვეშ. იშვიათად მორთული სადგური, განსაკუთრებულ სადღესასწაულო სახეს აძლევს ხაშურს. სტუმრები გადმოდიან მატარებლიდან, საერთო ტაში და ვაშა ფარავს მიტინგის ხელმძღვანელთა ხმებს. კ. გვარჯალაძე აცნობს სტუმრებს ხალხს და შემდეგ სიტყვას ამბობს ადგილობრივი ორგანიზაციათა წარმომადგენელი ძველი მუშა **ბაბლიძე. დე-ბრიუკე** დელეგაციის სახელით მიესალმება ხალხს და სხვათა შორის ამბობს: „ჩვენ მოვედით თქვენთან შორეულ ქვეყნებიდან, ჩვენი ბუნება არ წააგავს თქვენსას, იქ სხვაგვარათ ამუშავებენ მიწას, ბევრია განსხვავება ჩვენ შორის, მარა მიუხედავათ ამისა, სადაც არ ვიყავით, მთებში თუ ბარში, რკინის გზის სადგურებზე თუ სოფლებში, ჩვენ ვიგრძენით, რომ ჩვენ საერთოთ ვართ ერთი ოჯახის წევრნი. თქვენი გამარჯვება ნიშნავს ჩვენს გამარჯვებას.

ძმათა სასაფლაოზე.

მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს. სტუმრები ძმათა სასაფლაოსკენ ემხადებიან. არ შეიძლება არ მიხვიდე მათ საფლავთან, არ შეიძლება არ ჩასძახო პროლეტარიატის იმედის აღმძვრელი ხმა მათ ძვლებს. ნელა შორდება მატარებელი სადგურს ინტერნაციონალის ხმებში და ხალხის საერთო აღტაცებაში. ხაშურიდან ერთ ორ ვერსზე, იმ გორაკზე, რომელიც დაჭყურებს ქვიშხეთის მინდვრებს და ხაშურის სახელოსნოებს, აღმართულია მუშის წერაქვით გამოკვეთილი ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ძეგლი მებრძოლთა, რომელთა საფლავებს ქართლის ჰალების ნიავი ყოველ დღით მოუთხრობს დარჩენილ ამხანაგების ხელით გაგრძელებულ საქმეზე. მატარებელი გაჩერდა. ნელა იწრიალებს სულს ორთქმავალი. ძმათა სასაფლაოზე სდგანან პიონერები საერთაშორისო მუშათა მოძრაობისა და მდუმარე, ჩაფიქრებული სახით გასცქერიან ატეხილ ჰალებს. მუსიკის სამგლოვიარო ხმა, „მსხვერპლად დაეცით მწვავე ბრძოლაში“ მიაქვს ნიავს, აი აგერ მოსჩანს შავებში ჩაცმული დედა-შვილი, ღვიძლი პირმშო რომ ჰყავს ჯერ კიდევ პირწაუმშრალ საფლავში და თვითაც მდუმარე შეჰყურებს საფლავებს.

თითქო მოულოდნელად და შეუმჩნევლად მოისმა ხმა. ეს ვანდერველდე უნდა იყვეს. მარა მის ხმას არ გავს ეს ხმა. ის ძლიერია, თავის გამოძახილში, ის საყვირია, რომელიც თავს უყრის ლაშქარს ბრძოლისათვის, აქ კი გაისმის ხმა, ხმა ნახევრად ცრემლიანი, იმედით სავსე, მარა სათუთი, ძლიერი, მარა ამავე დროს რბილი, როგორც თვით გრძნობაა.

„ომის დროს—ამბობს ის—ბელგიელ ამხანაგებს ლონდონში მოუხდათ წასვლა და იქ ინახულეს ერთი დიდი ადამიანის და უძლიერესი მებრძოლის კარლ მარქსის საფლავი. ეხლა კი აი აქ, ჩვენ ამხანაგების საფლავზე ვართ, რომელთა სახელები არ ვიცით, მარა ვიცით, რომ იმავე საქმისთვის მებრძოლნი იყვნენ, რისთვისაც იბრძოდა დიდებული მასწავლებელი კარლ მარქსი. და ისე როგორც ლონდონის სასაფლაოზე, აქაც, მთელი ჩვენი პროლეტარული გრძნობა-გონებით ვიგონებთ დახოცილ ამხანაგებს და პატივს ვცემთ მათ“.

მაკდონალდმა სთქვა; „ამ წმინდა საფლავებმა მე მომაგონა ერთი ქართული ლეგენდა, რომელიც მე საქართველოში გავიგონე. აი. აქ ხაშურზე ახლო სურამში ძველად თურმე ციხეს აგებდენ, მარა კედლები ინგრეოდა. თქმულება იყო, რომ საძირკველში უნდა მოყოლოდა ვინმეს ძვლები, უნდა გაღებულიყო მსხვერპლი, რომ აშენებულიყო ციხე. მოინახა ზურაბი, რომლის განწირული სიცოცხლე შეიქნა ბურჯი და მის ძვლებზე აშენდა ციხე. და მე დღეს მომაგონდა ეს ციხე, ჩვენც ხომ ციხეს ვაშენებთ, ციხეს მუშათა კლასისას, ციხეს სოციალიზმის ბედნიერებისას და ეს განწირული, ბრძოლაში დაღუპული ამხანაგები საფუძველია ამ ციხის, მათ ძვლებზე შედნება მომავლის ბედნიერება“.

მაკდონალდის შემდეგ, ლაპარაკობს **რენოდელი.** ის აჯამბობს: „ომამდის ჩვენ შორიდან შევყურებდით თქვენს ბრძოლას. და ვხედავდით თუ რა მსხვერპლს იღებდით, ეხლა კი საშუალება მოგვეცა თვით ვნახოთ დახოცილთა საფლავებიც. მაგრამ მე მინდა აღვნიშნო, რომ აქედან ერთი დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ: სისხლის საშუალებით შეუძლებელია მოძრაობის შეჩერება. ფეოდალური და ბურჟუაზიული წყობილება მრავალ წლების განმავლობაში აწარმოებენ ბრძოლას ხალხის განთავისუფლების წინააღმდეგ და ისტორიამ არ იცის მაგალითი, რომ ამ სისხლის ღვრით ფეოდალიზმს, ან ბურჟუაზიას მოეზერხებინოს სრულიად აღმოფხვრა განმანთავისუფლებელ იდეებისა. სისხლს შეუძლია მხოლოდ დროებით ხელი შეუშალოს მრძოლობას. დავიხსომოთ: რომ სოციალიზმი არ შეიძლება სისხლის საშუალებით დამყარდეს, ის უნდა მოვიდეს სიყვარულით და შეგნებით. და აი სოციალიზმისთვის ამ მებრძოლთა საფლავზე, მე ფრანკი სოციალისტი, რომელთაც გვაქვს პარიზის განადგურებულ კომუნის ეს ათასი წმინდა საფლავი, მე პატივს ვცემ დახოცილ ამხანაგებს და დიდებით ვიგონებთ მათ“.

მუსიკამ შეასრულა „მსხვერპლად დაეცით მწვავე ბრძოლაში“. უსიტყვოთ მდუმარეთ მოშორდა დელეგაცია საფლავთა აკლდამას და მატარებელი ქშენით გაყვა ჭიშხეთის ჰალებს.

ბორჯომი—ბაკურიანი.

თორმეტის ნახევარზე მატარებელი ბორჯომში იყო. აქაც მორთული სადგური, ხოლო სადგურს უკან ტრიბუნა და ზღვა ხალხი. ქარხნების მუშები, გვარდიელები და მოჭალენი ყველანი მოგროვილან მოედანზე და უსმენენ ჭალარა მუშათა ბელადს მაკდონალდს, რომელიც ჩვეულებრივი დინჯი, დაკვირვებული გამომეტყველებით აღტაცებულ სიტყვას ამბობს. პირველის ნახევრიდან დელეგაციამ დაათვალიერა ლიკანის და ძველი სასახლე, მინერალური წყლების ქარხნები, შემდეგ შავ წყალზე ხე-ტყის ქარხნები და სრულ 5 ს. გაემგზავრა ბაკურიანში. გატაცებული მრავალფეროვან სანახაობით ახალ შთაბეჭდილებებით და გრძნობებით აღსილი დელეგაცია 23 სექტემბერს ღამით მიემგზავრება ქუთაისის გუბერნიისკენ. ხვალ დაათვალიერებენ ჭიათურას, სოფლებს, მთებს და ბუნების სიმშვენიერეს შესცქერის მოსაწყენი მაღარო, მარა სულით ძლიერი მუშათა კლასი, რომლის წერაქვი მაღაროში ნაპერწკლებს აჩენს და ამ ნაპერწკლებით ჩაღდება ქურა მუშათა და გლეხთა მოძრაობისა.

ვალიუტის მოსაწესრიგებლად

საგანგებო დადგენილება უცხო ვალიუტის ოპერაციის მომწესრიგებელ საგანგებო სათათბიროსი.

16 სექტემბერს 1920 წ. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1920 წ. აგვისტოს 31-ს დადგენილებით უცხო ვალიუტის ოპერაციების მომწესრიგებელ საგანგებო სათათბიროს მიენიჭა უფლება სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა: ა) რესპუბლიკის საზღვრებში სავალიუტო ოპერაციათა წარმოების შესახებ და ბ) საჭიროების დროს ასეთი ოპერაციების და აგრეთვე იმ დაწესებულებათა რიცხვის შესამცირებლად, რომელთაც ასეთი ოპერაციების წარმოების უფლება ექნებათ მინიჭებული. თანახმად ამ მინიჭებულ უფლებისა საგანგებო სათათბირო აცხადებს: 1. ეკრძალება ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებათ და პირთ სესხის გაცემა უცხო ვალიუტის გირავნობის ქვეშ და აგრეთვე გადახდა (განაღდება) უცხო ვალიუტისა რესპუბლიკის საზღვრებში უცხოეთიდან გადმოგზავნილი ბარათებით და აკრედიტივებით. შენიშვნა: 1) მთავრობის 1920 წლის აგვისტოს 31-ს დადგენილებით ყველა ფულის ნიშნები, გარდა საქართველოს და ამიერ კავკასიის ბონებისა ითვლებიან უცხო ვალიუტად. შენიშვნა 2: უცხოეთიდან მიღებულ აკრედიტივების და ფულის გადმოგზავნილ ბარათების განაღდება ხდება მხოლოდ ადგილობრივი ფულის ნიშნებით დღის კურსის მიხედვით. 2) ეკრძალება ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებათ და პირთ აღება რესპუბლიკის საზღვრებში ყოველ გვარი გადასახადებისა მათ შორის: სახელმწიფო გადასახადებისა და ყოველ გვარ შინაურ აღებ-მიცემობაში საქონლის საფასურისა უცხო ვალიუტით. 3. ეკრძალება ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებათ და პირთ რესპუბლიკის საზღვრებში წარმოება ყოველ გვარ სავალიუტო ოპერაციებისა, როგორც თავის აგრეთვე მესამე პირების ხარჯით საქართველოს სახელმწიფო ბანკის ან იმ საკრედიტო დაწესებულებების გარეშე, რომელთაც მინიჭებული ექნებათ სავალიუტო ოპერაციების წარმოების უფლება, სახელდობრ: ყიდვა, გაყიდვა და დახურდავება უცხო ფულის ნიშნებისა, ჩეკების და ტრატებისა, სესხის გაცემა უცხოეთის ვალიუტით; მიღება საზღვარ გარეთიდან და გაცემა საზღვარ გარედ გადასაგზავნ ბარათების და აკრედიტივებისა; მიღება საინკასოდ საზღვარ გარედ საბუთებისა უცხოეთის ვალიუტით; ყიდვა, გაყიდვა უცხოეთის ფონდებისა და სხვა. შენიშვნა: საგანგებო სათათბირო გამოაქვეყნებს იმ საკრედიტო დაწესებულებათა სიას, რომელთაც მინიჭებული ექნებათ სავალიუტო ოპერაციათა წარმოების უფლება საქართველოს სახელმწიფო ბანკის კონტროლის ქვეშ და მისივე ინსტრუქციების მიხედვით. 4) აკრძალულია გატანა, გაგზავნა და გადაგზავნა საზღვარ გარეთ სახელმწიფო ბანკის მიერ განსაზღვრულ რაოდენობაზე მეტის უცხოეთის ვალიუტისა. ბანკის ნება დაურთველად. შენიშვნა: რუსეთის ფულის გატანა, გაგზავნა და გადაგზავნა თავისუფალია. 5) ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებათ და პირთ, რომელთაც დასჭირდებათ რომელიმე სავალიუტო ოპერაციის წარმოება, უნდა მიმართონ სახელმწიფო ბანკს ან იმ საკრედიტო დაწესებულებათ, რომელთაც სავალიუტო ოპერაციების წარმოების უფლება ექნებათ მინიჭებული და ყველა ასეთი ოპერაციები და ხელშეკრულებანი უნდა მოხდეს ორივე მხრის ურთიერთან თავისუფლად შეთანხმებით. 6) ვალიუტის მიყიდვა სახელმწიფო ბანკზე და იმ საკრედიტო დაწესებულებებზე, რომელთაც სავალიუტო ოპერაციათა წარმოების უფლება ექნებათ მინიჭებული, უნდა ხდებოდეს თავისუფლად, ხოლო ყიდვა უცხო ვალიუტისა და ან სესხის მიღება მათი სათანადო მოწმობის წარდგენის შემდეგ, რომ მოთხოვნილი ვალიუტა აუცილებლივ საჭიროა. სავაჭრო სამრეწველო მიზნისათვის. 7) თუ რაიმე გაუგებრობა მოხდება საკრედიტო დაწესებულებათა და კლიენტთა შორის, სავალიუტო ოპერაციათა წარმოების შესახებ, მაშინ ეს საკითხები გადაეცემა გადასაჭრელად სახელმწიფო ბანკს. 8) ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებები და პირნი, რომლებიც აწარმოებენ ეხლა უცხოეთის ვალიუტასთან დაკავშირებულ მიმდინარე ოპერაციებს და სხვა ვალდებულებათ, მოვალენი არიან ამ სავალდებულო დადგენილების გამოქვეყნებიდან ორი კვირის ვადაში განუცხადონ ამაზე საქართველოს სახელმწიფო ბანკს, რომ გამოძებნილ იქმნას საშუალება და დრო მათი ასეთი ანგარიშების ლიკვიდაციისათვის. 9) საქართველოს სახელმწიფო ბანკს ეძლევა უფლება ცალკე ინსტრუქციების გამოცემისა ამ სავალდებულო დადგენილებათა განსანვითარებლათ. 10) ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი ისჯებიან ადმინისტრატიული დატუსაღებით მისი ჯარიმით შეუცვლელად 6-ს თვემდე, ან და რესპუბლიკის საზღვრებიდან გადასახლებით. უცხო ვალიუტა კი, რომელიც მათ აღმოუჩნდებათ, უსასყიდლოთ ჩამოერთმევა და ჩაირიცხება სახელმწიფო ბანკის სავალიუტო ფონდში. 11) სავალდებულო დადგენილება შედის ძალაში დღიდგან მისი გამოქვეყნებისა.

საგანგებო სათათბიროს დავმჯდომარე ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი **ს. ჯავლიანი.**

მიწად მოქმედების მინისტრი **ნ. ხომერიკი.**

სათათბიროს წევრნი: მომარაგების მინისტრი **გ. ერაძე** და სახელმწიფო ბანკის მმართველი **იას. ლორთქიფანიძე.** „გ.“

შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან.

გუდაუთის შეამდგომლობა.

გუდაუთის ქალაქის თვითმართველობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე სასურსათო საქმის აპერაციებისთვის საჭირო სესხის მოცემის შესახებ შეამდგომლობა აღძრა. სამინისტრომ შეამდგომლობა არ დააკმაყოფილა იმ მოსაზრებით, რომ ამ რამდენიმე ხნის წინად ნახევარი მილიონი მანეთის სესხი მიეცაო.

სოხუმის შეამდგომლობა.

სოხუმის ქალაქის თვითმართველობამ სთხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაამტკიცოს დადგენილება მინიატ-ოლის სახლის ჩამორთმევის შესახებ. ჩამორთმეული სახლი მუშათა სასახლეთ უნდათ გამოიყენონ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ეს შეამდგომლობა შრომის სამინისტროს გადაუგზავნა თავის მხრივ მთავრობის წინაშე სათანადო შეამდგომლობის აღსაძრავად.

ფინანსთა სამინისტროში

დახმარება ელექტრონის სადგურებს.

ვაჭრობა და მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორმა ე. ნ. ალშიბაიამ ფინანსთა მინისტრს მოხსენება გაუკეთა ელექტრონის სადგურებისათვის დახმარების აღმოჩენის საჭიროების შესახებ. ამავე დროს მან მოახსენა

მინისტრს ტეხნიკურ კომიტეტის დადგენილება, რომელიც ტფილისში არსებულ ელექტრონის სადგურების სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის აღიარებას ეხება. ფინანსთა მინისტრმა ამის გამო განკარგულება გასცა ღმოუჩინონ შეძლების და გვარად დახმარება ელექტრონის სადგურებს, რათა მათი მუშაობა ნორმალურ კალაპოტში ვითარდებოდეს.

სახელმწიფო შემოსავალი.

თანახმად რესპუბლიკის 16 ხაზინიდან წინასწარ მიღებულ ცნობებისა ივლისის განმავლობაში სახელმწიფო გადასახადის სახით სულ 122.260,264 მან. შემოსულა. ამ თანხიდან პირდაპირი გადასახადის სახით შემოსულა 4.444,808 მან. არა პირდაპირი გადასახადის სახით 101.228,793 მან., საბაჟო გადასახადის სახით კი 48.592,389 მან., ივნისის თვესთან შედარებით ივლისში სახელმწიფო შემოსავალს 25.882,891 მან. მოუმატია: ასეთი გადიდება სახელმწიფო შემოსავალისა პირველად ყოვლისა არის შედეგი ბათომის ოლქის შემოერთებისა, ვინაიდან მხოლოდ ბათომის ოლქის ხაზინაში შემოსულა ამ თვის განმავლობაში 16.942,976 მან. ცალკე ხაზინებიდან სახელმწიფო შემოსავალი შემდეგი წესით ნაწილდება: პირველ რიგში სდგას ტფილისის ხაზინა (81.181,754 მან.) შემდეგ ბათომის, სოხუმის, ჭუთაისის, ფოთის და სხვა. პირდაპირი ისე როგორც არა პირდაპირი გადასახადის სახით მეტი შემოსულა ტფილისის ხაზინაში. საბაჟო გადასახადი კი ბათომის ოლქში.

უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

ოქროს მრეწველნი რუსეთში.

„ეკონომიჩესკაია ჟიზნის" ცნობით ოქროს მრეწველობა რუსეთში კატასტროფიულ მდგომარეობაშია. ოქროს მადნების სამრეწველოების შრომის ნაყოფიერება უკიდურესობამდი დაეცა. სამრეწველოებმა მუშაობა სრულიად შესწყვიტეს.

— მოსკოვის მომრიგებელ საზოგადოებათა „ბიულეტენი" კითხვას იძლევა თუ რა საშუალებით ახერხებენ საბჭოთა დაწესებულებების მუშები რძის 420 მანეთად ყიდვას, თითო ვაშლის 150 მ. 25 პაპიროსის 600 მან. და სხვა. გაზეთი ამ გარემოებას მუშების სპეკულიაციით ხსნის. გაზეთის აზრით უნდა შესწყდეს ყოველგვარი კერძო ვაჭრობა.

— „ეკონომიჩესკაია ჟიზნი" ახალი ტიპის ნატურალური გადასახადის შემოღების შესახებ იუწყება. გადასახადი დაედება მამულს. გადასახადი ნატურალური ხასიათის იქნება და მას დიდი მორალური მნიშვნელობა ექნება.

„მონიტერ ორიენტალი საქართველოს და სომხეთის შესახებ.

«მონიტერ ორიენტალი» საქართველოს და სომხეთის სათაურით შემდეგ ცნობას ბეჭდავს: რომში მყოფ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელი შეეკითხა სომხეთის წარმომადგენელს, თუ როგორ უყურებს სომხეთი ამერიკის ნოტასო. სომხეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სომხეთი საქართველოსთან მეგობრულ განწყობილებაში არისო.

ინგლისური ჟურნალი საქართველოს შესახებ.

ინგლისური ჟურნალი „ახლო აღმოსავლეთი" საქართველოს წერილს უძღვნის. წერილის ავტორი იგონებს რა ბათომის საქართველოზე გადაცემას, აღნიშნავს, რომ საქართველოში სრული წესიერება არის დამკვიდრებულიო. შემდეგ ავტორი სწერს: „საბჭოთა წარმომადგენლობის ჩამოსვლის შემდეგ საქართველოში ბოლშევიკური პროპაგანდა გაიზარდა. მაგრამ ბოლშევიკების აგიტატორებს ყოველ დღე იჭერენ პრაკლამაციებით და დიდძალი თანხით. დაჭერილ აგენტებს ქავკავში ასახლებენ. ქართველები დიდი ენერგიით და დაკვირვებით იცავენ თავის დამოუკიდებლობას და სახელმწიფოებრივობას. საქართველომ ჯიდევ მძიმე და ეკლიანი გზა უნდა განვლოს ეკონომიური ძალების მოსაწყობად. მაგრამ საქართველოს მთავრობა აქედანაც გამარჯვებული გამოვა. ის ფაქტი, რომ საქართველო ამ ჟამად ბევრად უკეთეს პირობებში იმყოფება, ვიდრე ყველა სხვა რუსეთის ტერიტორიაზე ახლად დაარსებული სახელმწიფოებრივი ერთეულები, იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს პოლიტიკის ხელმძღვანელები ბრძნულად მოქმედებენ. საქართველო ყოველთვის უნდა ელოდეს დახმარებას ინგლისის მხრივ, რათა იგი გაძლიერდეს და გადალახოს ის დაბრკოლებანი, რომლებიც ელობებიან მას წინ. საქართველო თვით დარწმუნდება, რომ დიდი ბრიტანეთი არ ულალატებს თავის გზას და ყოველგვარ დახმარებას გაუწევს მას.

იზვესტია იუწყება: საფრანგეთისა და ინგლისის შორის სწარმოებს მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობისათვის დაბრკოლებების შექმნის შესახებ. მილიერანი უნგრეთს ფართო ტერიტორიას დაპირდა დნესტრის და დროის შუა. მილიერანის მიხედვით: გააერთიანოს პოლონეთი, უნგრეთი საბერძნეთი და შემდეგ იტალეთის ანტი-ბოლშევიკურ ფედერაციაში.

(გაზეთებიდან)

ავღანელების შეტაკება ბალშევიკებთან.

ავღანელ - ბალშევიკების ურთიერთობაზე ჯერ დიდ იმედებს ამყარებდა მოსკოვის საბჭოთა მთავრობა და ფიქრობდა თავისი კავშირი უფრო განემტკიცებინა აღმოსავლეთში თავისი რეზოლიუცია ბალშევიკური რიტუალით, მაგრამ იმედები სრულად არ გამართლდა და დღეს ავღანელებს და ბალშევიკებს შორის დიდი ანტაგონიზმი და კონფლიქტია. ბალშევიკების დიპლომატიამ ვერა გზით ვერ მოახერხა რომ სხვა და სხვა დაპირებით, ცრუ მორწმუნოებით ხალხი კვლავ მოეტყუებინათ. უკანასკნელ დროს ბალშევიკების და ავღანელების შორის დიდი შეტაკება მომხდარა. დაულუქნიათ სისხლი და უმსხვერპლიათ რამდენიმე კაცი.

აჯანყება კუბაში.

კუბაში კიდევ ბალშევიკების წინააღმდეგ აჯანყდა ოთხი სოფელი. აჯანყება ბალშევიკებს მალე ჩაუქვრიათ, დახვრეტილა რამდენიმე კაცი.

რუსეთში გადასახლება.

ბოლშევიკებმა მოსკოვში გადაასახლეს მთიელთა რესპუბლიკის ყოფილი მინისტრები: რაშიდ-ხან კაპლანოვი და ბაღარი თემირხანოვი.

ჭეჩუნ-ხანი და სპარსეთის მთავრობა.

ჭეჩუნ-ხანმა ყოველგვარი კავშირი გასწყვიტა ბალშევიკებთან და მათ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა. სპარსეთის მთავრობამ წინადადება მისცა ჭეჩუნ-ხანს რომ მას სპარსელებთან ერთად ეომნა ბალშევიკების წინააღმდეგ. ჭეჩუნ-ხანმა ამაზე შეატყობინა სპარსეთის მთავრობას რომ იგი ბალშევიკებთან შეერთებული იყო იმ მიზნით რომ ძირს დაემხო სპარსეთის მთავრობა და სპარსეთიდან ინგლისელები გაედევნა, მაგრამ რაკი დარწმუნდა ბალშევიკების უნიადაგობაში მან სრულიად გასწყვიტა კავშირი მათთან და იგი მტერია როგორც ბალშევიკების ისე სპარსეთის მთავრობის.

ხმა ავსტრალიიდან.

კონსტანტინოპოლიდან მიღებულ ცნობებით ავსტრალიის პრემიერ-მინისტრს განუცხადებია რომ ავსტრალია მზადაა დაეხმაროს პოლონეთს, როგორც ერთ დროს იგი ბელგიას ეხმარებოდა.

აღმოსავლეთ ხალხთა ყრილობახ პრეზიდიუმის შემადგენლობა.

აღმოსავლეთ ხალხთა ყრილობაზე პრეზიდიუმის შემადგენლობა ასეთი იყო: კომუნისტებიდან შედიოდნენ. რისკულოვი, გუნავარ ჭარი, აბდრაბიტოვი (თურქესტანიდან); ყარაევი და ნარიმანოვი (აზერბეიჯანიდან.) კოსტანიანცი (სომხეთიდან), ფილიპე მახარაძე (საქართველოდან), მუსტაფა სუბხი (ოსმალეთიდან,) ვანი (ჩინეთიდან), მოლა ბეგიხან რახმანოვი (ქივიდან); ავკარია (ინდოსტანიდან) მუხაბედოვი (ბუხარადან), დიდუროვი (ოსეთიდან) აგაზადე (ირანიდან); უპარტიონი: ნარბუტაბეკოვი, ტახსინ-ბარი ხაზიფმამედ, კუბეევი, ნიაზ კული, კარი ტაჯი, ნაზირ სიდიელი, სირაეტინ, ყარდაშ-კილი (დაღესტნის წარმომადგმნელი) ელჩიევი (აზერბეიჯანიდან), მუსაევი, აზიზი და აბდულაევი (ქივიდან.) თითქმის არ დარჩენილა აღმოსავლეთში ისეთი ქვეყანა რომ ამ ყრილობაზე თავის წარმომადგენელი არ გამოეგზავნოს.

დეპეშები

ფრანგული პრესა.

ჟორჟ ლეიგის არჩევა.

საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთ აირჩიეს დეპუტატთა პალატის საგარეო კომისიის ყოფილი თავმჯდომარე ჟორჟ ლეიგი. იგი იმავე დროს გარეშე საქმეთა მინისტრიც არის. მილიერანის კაბინეტის დანარჩენი მინისტრები და მათი ამხანაგები თავის ადგილზე რჩებიან.

გენერ. მილნი პალესტინაში.

გარეშე საქმეთა გენერალურმა მდივანმა პალეოლოგმა, რომელიც მილიერანის ახლო მეგობარია, თხოვნა შეიტანი თანამდებობიდან გადადგომის შესახებ.

ფინანსიური კონფერენცია.

საერთაშორისო ფინანსიური კონფერენცია პარასკევს ბრიუსელში გაიხსნა. ადორი, სწერს „პტი პარიზიენი" სცდილობდა მოესპო ყოველგვარი ორჭოფობა, მან გარკვევით განაცხადა, რომ ერთა სოლიდარობა ლოიალურ დამოკიდებულებას და ხელმოწერილ ხელშეკრულების სისრულეში მოყვანას მოითხოვსო.

ჯოფილი პრეზიდენტი.

შაბათს პარლამენტში ყოფილ პრეზიდენტ დეშანელის წერილს წაიკითხავენ.

მილიერანი.

მილიერანის პრეზიდენტათ არჩევა, როგორც საფრანგეთში, ისე საზღვარ გარეთ, ცხოველ გამოხმაურებას პოულობს.

ახალი პრემიერი.

შაბათს, სენატში ახალმა პრემიერმა ლეიგმა მილიერანის წერილი წაიკითხა. მთავრობის დეკლარაცია მილიერანის სამინისტროს პროგრამის გაგრძელების საჭიროებას აღნიშნავს.

ძლიერი ქარიშხალი.

საფრანგეთის ჩრდილოეთ ნაწილში ძლიერი ქარიშხალი იყო. სენ-ჟან მორენის რაიონში წყალდიდობამ მცხოვრებთ დიდი ზარალი მიაყენა.

საბჭოთა მთავრობის დეკლარაცია.

პარასკევს, რიგაში, ხოფემ წაიკითხა საბჭოთა რუსეთის დეკლარაცია, რომელშიაც იგი (საბჭოთა მთავრობა) წინანდელ მოთხოვნილებებზე უარს აცხადებს. თანახმად ახალი საზავო პირობებისა საზღვარი კერზონის მიერ აღნიშნულ ხაზის უფრო აღმოსავლეთით მდებარეობს. თანახმად „მატენი"-ს ცნობისა პოლონეთმა შაბათს უნდა მისცეს პასუხი. საერთო შთაბეჭდილება იმავე გაზეთის ცნობით ოპტიმისტურია.

პოლონეთის ჯარები.

პოლონეთის ჯარებმა დაიწყეს შეტევა პოლონეთის ტერიტორიაზე მყოფ ლიტვის ჯარების წინააღმდეგ. ამის გამო ლიტვა სთხოვს ხალხთა ლიგას დაუყონებლივ კონფლიქტში ჩაერიოს.

რეშტის აღება.

თანახმად თეირანიდან მოსულ ცნობებისა, რეშტი სპარსელებს აუღიათ. ბოლშევიკებმა ენზელისაკენ დაიხიეს.

წითელი ჯარი.

წითელ ჯარების მდგომარეობა პოლონეთის ფრონტზე და ვრანგელის შეიარაღების უპირატესობა საბჭოთა რუსეთს ძლიერ აფიქრებს და მასში შიშს იწვევს.

ახალი ამბები

ვალიუტის მომწესრიგებელ საგანგებო სათათბიროს მიერ დამტკიცებული სია საკრედიტო დაწესებულებათა, რომელთაც თანახმად ა. წ. 31 აგვისტოს მთავრობის და ა. წ. 16 სექტემბრის საგანგებო სათათბიროს დადგენილებათა მიენიჭათ უფლება უცხო ვალიუტის ოპერაციათა წარმოებისა: კავკასიის ბანკი, ვაჭართა ბანკი, ამიერ-კავკასიის ბანკი, ევროპიულ-კავკასიის ბანკი, ცენტრობანკი, საბანკირო კონტორა ფრიდონოვისა, ტფილისის განყოფილება ახოვ-დონის ბანკისა, ვოლგა-კამის ბანკისა, საერთო-შორისო ბანკისა და იტალო-კავკასიის ბანკისა, საქართველოს კოოპერატიული ბანკი. სია პროვინციის საკრედიტო დაწესებულებათა, რომელთაც მიეცემა უფლება უცხოეთის ვალიუტის ოპერაციების წარმოებისა იქნება გამოცხადებული ცალკე.

ხალხთა ბიუჯეტი. სექტემბრის 27 ფინანსთა სამინისტროში შესდგება ფინანსთა სამინისტროს საბჭოს სხდომა. გასარჩევი საკითხებია: 1) ბიუჯეტის შესადგენად ზომების მიღება, 2) კანონ-პროექტი საბანკირო კანტორებისა და ფულის გადამხურდავებელ დაწესებულებათა შესახებ 3) ტფილისის მეორე საურთიერთო კრედიტის საზოგადოების სავაჭრო-სამრეწველო ბანკათ გადაკეთება 4) საქართველოს კოოპერატიულ ბანკის ძირითადი თანხის გადიდება და სხვა.

პურის ღირსების გაუმჯობესება. მუშათა პროფესიონალურ საბჭოს სეკრეტარიატში შრომის მინისტრის ამხანაგის ბახტაძის მონაწილეობით გაირჩა საკითხი მუშათა მაგიდის პურის ღირსების გაუმჯობესობის შესახებ. შრომის მინისტრის ამხანაგმა ცუდი პურის გამოცხობის მიზეზათ გარდა ხორბლის სიცუდისა, წისქვილის მოუწყობლობა და ფურნის მუშების დაუდევრობაც დაასახელა. თათბირმა გადასწყვიტა შესდგეს ორი კომისია შრომის სამინისტროსა და სეკრეტარიატისაგან. ამ კომისიებმა სასტიკი რევიზია უნდა გააკეთონ ამ დარგში. საბჭოსაგან კომისიაში აირჩიეს ა. ხელაძე, ივ. ჩხენკელი, დობორჯგინიძე და ბერეჟიანი. შრომის სამინისტროს წარმომადგენლად საფარიანი. ორივე კომისიამ დაიწყო მუშაობა.

სატარიფო პალატის დადგენილება. მუშათა პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატმა მიმართა შრომის სამინისტროს თხოვნით, რომ სატარიფო პალატის დადგენილება მრეწველთათვის ჯამაგირის მომატების განსაჩივრების უფლების მინიჭების შესახებ, გამოსცეს ცალკე კანონად. შრომის სამინისტრომ აცნობა, რომ ასეთი პროექტი უკვე წარდენილია დამ. კრებაში. კანონის მიღებამდი ამ მხრივ ყოველი სადაო საკითხი შრომის კომისარმა და მომრიგებელმა კამერამ უნდა გადასწყვიტოსო.

წარმოდგენები. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატმა აღძრა შუამდგომლობა, რომ მუშების ბავშვებისათვის საოპერო და დრამატიულ თეატრში იმართებოდეს წარმოდგენები დილაობით, ამასთანავე შეიმუშავეს მუშათა წარმომადგენლების ბილეთების განაწილების გეგმა.

ხახურხათო საქმე. სასურსათო განყოფილების ცნობით ერთმა გერმანიის ცნობილმა ფირმამ წინადადება შემოიტანა საქართველოში გერმანულ საქონლის და მათ შორის სხვა და სხვა ინსტრუმენტების, ჰურჭლეულობის, სამართებლების და სხვათა შემოტანის შესახებ.

ახალი ნიხრი. სოხუმის ქალაქის თვითმართველობამ დაამტკიცა ახალი ნიხრი კარტოფილზე. ბაზრის ფასებით გირვანქა კარტოფილი უნდა გაიყიდოს 13 მან. ხახვი კი 10 მანეთად.

არჩევნები ხავ. სამ. პალატაში. სავაჭრო სამრეწველო პალატა შეუდგა შეცვლილ წესდების მიხედვით დამატებითი არჩევნების წინასწარ მუშაობას. სულ უნდა არჩეულ იქმნას 21 წევრი. რესპუბლიკა 12 საარჩევნო ოლქად არის გაყოფილი. არსებითად არჩევნები მოხდება ტფილისსა და ბორჩალოს, გორის და დუშეთის მაზრებში. არჩევნები ნოემბრისათვის უნდა დასრულდეს.

ქალაქთა კავშირში. ქალაქთა კავშირის მთავარმა კომიტეტმა ბათომის ქალაქის თვითმართველობისაგან მისალმებითი დეპეშა მიიღო.

ხახელოვნო ხაბჭოს შუამდგომლობა. სიხელოვნო საბჭომ მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა საქართველოს საზღვრებიდან მუსიკალური ინსტრუმენტების გატანის აკრძალვის შესახებ.

ხულევის (რედუტ-კალე) შუამდგომლობა. ქალაქის საბჭოს ხმოსნებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე ქალაქის ზუგდიდის მაზრიდან გამოყოფისა და ახალსენაკთან შეერთების შესახებ შუამდგომლობა აღძრეს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ეს შუამდგომლობა გადაუგზავნა დამფუძნებელ კრების თვითმართველობის კომისიას, სადაც რესპუბლიკის ადმინისტრატიულად გამიჯვნის ახალი პროექტი მუშავდება.

შიო მღვიმელის სახელობის სკოლა. სენაკის ქალაქის საბჭომ ერთხმად დაადგინა სენაკის ქალაქის მესამე პირველ-დაწყებით სასწავლებელს, ამიერიდან ეწოდოს შიო მღვიმელის სკოლა.

საქართველოს კონსტიტუცია. დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიამ ევროპის სოციალისტთა დელეგაციის შეხვედრის მომწყობ კომისიას გადაუგზავნა ფრანგულ ენაზე დაბეჭდილი საქართველოს კონსტიტუციის პროექტი დელეგაციის წევრებისათვის გადასაცემად.

ნ. ყორდანიას სახელობის სახალხო სახლი. სექტემბრის 27 ავჭალაში დიდის ამბით იქნება გახსნილი ნ. ყორდანიას სახელობის სახალხო სახლი.

ჯილდოს განაწილება. წყალსადენის მუშების დადგენილებით ცენტრობანკიდან მიღებული საჩუქარი 20.000 მანაწილებულ იქმნა ამრიგად: 50.000 მ. მუშებს, 5.000 მ. ამ მუშათა ბიბლიოთეკას და 10.000 კი გადაეცა წყალსადენის სახელოსნოს ადმინისტრაციას კულტურულ განმანათლებელ მიზნებისათვის.

გამოცემლობა: მივიღეთ წ.-კ გამ. საზოგადოების შემდეგი გამოცემანი: 1) „არითმეტიკის სახელმძღვანელო"—იოს. ავალიშვილისა; 2) „ახალი ისტორია"—ი. გველესიანისა და უზნაძისა; 3) „ქართული მწერლობა"—პირველი და მეორე წიგნი—ივ. გომელაურისა.

მუშათა დელეგაცია. ცენტრ. პრო-

საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის უკანასკნელ სხდომაზე განიხილეს მუშათა დელეგაციის რუსეთში წასვლის ნებართვის უარი და დაადგინეს: საბჭოთა რუსეთის მთავრობის ორგანოებს აუარონ გვერდი და აუწყონ რუსეთის რესპუბლ. ცენტრალური პრ. კავშირთა საბჭოს, რომ საბჭოთა მთავრობამ უარი განუცხადა დელეგაციას რუსეთში შესვლაზე, და რუს. პროფ. კავშ. ცენტრ. საბჭოს წინადადება მისცეს გამოგზავნონ საქართველოში დელეგაცია პროლეტარიატის საქმიანობის გასაცნობათ და ურთიერთშორის დამოკიდებულების აღსადგენათ. მიმართოს ინტერნაციონალის პრ. კავ. პროტესტით საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. ამ ფაქტის შესახებ აუწყოს საქართვ. ყველა ორგანიზაციას და ფართე მასას. პროტესტის დაწერა ავლმ. კომ. პრეზიდიუმს დაევალა. ამავე სხდომაზე დაადგინეს დელეგაციის დაშლა.

ტფ. ქალაქის თვითმმართველობაში

უკანასკნელი დადგენილებანი.

— ვინაიდან ცეცხლის მქრობელი რაზმი ტფილისში მეტად მცირეა შედარებით და ამისთვის კი საჭიროა გამრავლდეს მათი რიცხვი, ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა გააძლიეროს ცეცხლის მქრობელთა შტატი. ამ მიზნით გამგეობა საჭიროდ სთვლის დაარსოს სპეციალური კომისია ა. ბესელიძის თავმჯდომარეობით. კომისიაში შევლენ აგრეთვე ქალაქის სატეხნიკო განყოფილების წარმომადგენელნი, მილიციის უფროსის წარმომადგენელი და საჭიროებისამებრ მოწვეულ იქნებიან სხვა პირებიც. კომისია დაათვალიერებს თეატრის, კინო-მატოგრაფების, ცირკების და კლუბების შენობებს და გამოარკვევს თუ რომელ ადგილს უფრო საჭიროა რომ გადიდდეს ცეცხლის მქრობელ რაზმის რიცხვი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა რაზმის ტეხნიკურ მხარეს.

— ქალაქის გამგეობამ ქალაქის მასწავლებელთათვის უფასო ტრამვაის ბილეთები გააძიდა 60 დე.

ერობა

ერობათა კავშირში.

— ერობათა კავშირის კომიტეტი შეეკითხა სამაზრო ერობებს თუ რამდენი მანუფაქტურა, ტყავი, მედიკამენტი, ვენახის საწამლავი მასალა და სხვა დასჭირდებათ მათ დაახლოვებით მიმდინარე წლის განმავლობაში.

— ერობათა კავშირის კომიტეტმა აცნობა ყველა ერობას, რომ ცენტრალურ სტატისტიკურ საბჭოს მიერ ერობათათვის და ქალაქებისთვის საექიმო სასანიტარო სტატისტიკის მოსახდენად სათანადო ბლანკები არის შედგენილია, ერობათა კავშირის კომიტეტი წინადადებას იძლევა, რომ იგი მიიღებს თავის თავზე ერობათათვის საჭირო ბლანკების დაბეჭდვას სამაზრო ერობების ანგარიშზე.

სამურზაყანოს სამაზრო ერობა.

ერობათა კავშირის კომიტეტმა სამურზაყანოს სამაზრო ერობიდან მიიღო ცნობა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ სამურზაყანოს ერობა ყოველთვის ღებულობდა ზომებს საქართველოსთან დასაახლოვებლად და ცდილობდა ჩამოეგდო ძმური კავშირი საქართველოსა და აფხაზეთის ერობების შორის, და არასოდეს არ ჩაუდენია ისეთი რამ, რასაც შეეძლო საქართველოსა და აფხაზეთის შორის უთანხმოების ჩამოგდებაო. ერობათა კავშირის კომიტეტი საქართველოს სხვა ერობებთან ერთად დიდ დახმარებას უწევდა აგრეთვე აფხაზეთის ერობებსაც, რაც შეეხება აფხაზეთში ერობათა და ქალაქების კავშირის დაარსებას, ეს გამოწვეულია მით, რომ აფხაზეთის ქალაქის თვითმართველობები თავის შინაურ საქმეების განსახორციელებლად ერობებთან მჭიდრო კავშირის დაჭერას საჭიროებენ. მაგრამ ეს კავშირი არავითარ შემთხვევაში არ ფიქრობს რესპუბლიკის კავშირიდან ჩამოშორებას. პირიქით ჩვენ სურვილს გამოვთქვამთ ყოველ ერობათა კავშირის შორის კავშირი უფრო განმტკიცდეს.

შორაპნის ერობის შეამდგომლობა.

შორაპნის მაზრის ერობამ აღძრა შუამდგომლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა დახმარება აღმოეჩინოთ იმათ, რომლებსაც საქონლის ჭირმა საქონელი გაუწყვიტა. შინაგან საქმეთა სამინისტრო თანაგრძნობით შეხვდა ამ შუამდგომლობას და შორაპნის მაზრის ერობას მოსთხოვა გამოერკვიოს თუ რამდენად დახარბლდნენ მცხოვრებლები ამ სენით.

დახმარება ახალქალაქის ერობას.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღძრა შუამდგომლობა რათა ქალაქის ერობას 100 მილიონიან ფონდიდან საჭირო სესხი მიეცეს.

ფოსტა-ტელეგრაფში

ხიდ ჩაუბარებელ დეპეშებისა

21 სექტემბრისა.

ხონიდან—ნინუას; ფოთიდან—ჩერნიაკს; ოზურგეთიდან—შტერფკოს; ქუთაისიდან—მასხარაშვილს; ბათომიდან—თანჯიანცს; ალექსანდროპოლიდან—პეტროსიანცს; სილნაღიდან—ბაშინჯაშვილს, ალექსანდროპოლიდან—ხანანუშოვას; კარაკლისიდან—მელიას; ფოთიდან—ვეკსლერს; ჯელალოღლიდან—მიკირტუმოვს; თელავიდან—ცისკარაშვილს; სუხუმიდან—ოლოვიანიშნიკოვს; გორიდან—კინწურაშვილს; საჯევახოდან—კალანდაძეს; დუშეთიდან—კალუჩიანცს; ოზურგეთიდან—კალატოზოვს; ზუგდიდიდან—იოანეს; ჭიათურიდან—კაპანაძეს; ქუთაისიდან—გიორგაძეს; მცხეთიდან—არუთინოვს; ნატანებიდან—კოპაძეს; ყარსიდან—ლებედკინს; საჩხერიდან—მურადოვს; ბაზვიდან—გეორგაძეს; ხარაგოულიდან—ჭიჭინაძეს; სარიკამიშიდან—ზურაბოვას;

პროვინციის ცხოვრება.

აფხაზეთში.

აფხაზეთის კომისარიატის მიწად-მოქმედების განყოფილებამ მიწად მოქმედების სამინისტროს წარუდგინა მოხსენება, სადაც აღნიშნულია, რომ განყოფილებამ განსაკუთრებული ყურადღება კულტურულ მამულების მიღებას მიაქცია. ამას გარდა მიღებულ იქმნა ზომები ტყეების გაჩეხის წინააღმდეგ. გამოიმუშავეს წესები. ტყის მასალა სოფლელებს უფასოდ ეძლეოდათ. ყურადღება მიექცა აგრეთვე ერობებში საბეითლო საქმეს, საძოვრების ექსპლოატაციას, გადასახადების და სხვათა საქმეს. მიწად მოქმედების განყოფილებამ რევიზია მოახდინა თუთუნის საცდელ პლანტაციის და სოხუმის სასოფლო-სამეურნეო სადგურისა. დიდ სიძნელეს წარმოადგენდა ადგილობრივ ავრარულ რეფორმის განხორციელება, რასაც ხელს უშლიდა სოხუმის ოლქის შერეული მოსახლეობა: ამ მიზნით შესდგა 13 სარაიონო და ქვესარაიონო კომისიები, რომლებსაც დაევალათ უმამულოთა და მცირე მამულიანთა სიების შედგენა, რათა მათ სახელმწიფო ფონდიდან მამულები დარიგებოდათ. უმამულოთ და მცირე მამულიანთ ფონდიდან მიწები მიეცემოდათ სიების მიხედვით. სათემო და სასოფლო კვეკომისიებმა ეს მამულები საჭიროების მიხედვით გაანაწილა. მოხსენებაში აღნიშნული იყო დაწვრილებითი ცნობები სამურზაყანოს, კოდორის, გუმისტანის და გუდაუთის მაზრებში აგრარულ რეფორმის განხორციელების შესახებ.

ახალციხის მაზრაში.

მაზრაში ხილისა და კარტოფილის მოსავალი კარგი იყო. ახალი მოსავლის კარტოფილი 180—200 მ. ღირს. სერვერ ბეგის დიდებული ხილის ბაღები ერობას მიეცა იჯარით. ერობის მოღვაწეობა მაჰმადიან მცხოვრებელთან დამოკიდებულების გასაუმჯობესებლად ბრწყინვალედ მიმდინარეობს. მაჰმადიანები ადგილობრივ მთავრობისადმი კარგ განწყობილებაში არიან.

აბასთუმანი.

აბასთუმანში ცხოვრება შედარებით იაფია. სურსათ სანოვაგე საკმაოთ იშოვნება. აქ მცხოვრებ ავადმყოფებს ეძლევათ სულზე ერთი გირვანქა თეთრი პური, გირვანქა 30 მ. ბაზარზე ადგილობრივი პური გირვანქა 25 მანეთი ღირს. განზრახულია მოეწყოს მუშებისათვის რამოდენიმე უფასო საწოლი. სათანადო შუამდგომლობა მთავრობის წინაშე უკვე აღიძრა. მიღებულია. ზომები სარძეო ფერმის საქმეთა გასაუმჯობესებლად.

ბაზახადები

დაიკარგა მატრიკული № 157 და მოწმობა მიღებული ტფილისის პოლიტეხნიკუმიდან ბენედიქტე გერასიმეს ძე ლორიას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2816 3—3

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის პოლიციმეისტრის კანცელარიიდან ტატიანა ილიას ასულის იანბუხინას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2817 3—3

დაიკარგა პასპორტი იოსებ ჩუტკარიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2893 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 2485 სანათ იხვაილის ძე სტანოვის სახელზე, მიღებული ქ. გორის კომისრის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2873 3—2

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისგან 1918 წ. და პირადობის მოწმობა, მიღებული რკ. გზის მთავარ სახელოსნოდან გიორგი ანდრიას ძე ეგოროვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2875 3—2

დაიკარგა სიმწიფის მოწმობა № 640, ძიხეილ იოსების ძე მარციშევსკის სახელზე მიღებული ტფ. შეორე ვაჟთა გიმნაზიიდან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2884 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი № 9005, მიღებული ტფ. პოლიციმეისტერის სამმართველოსაგან, ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების № 9608 და ტფილისის კოოპერატივის № 145 წევრობის წიგნაკები—ივანე რომანეს ძე შოლუხის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2878 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა სიმონ ნიკოს ძე კალანდაძის სახელზე მიღებული მომარაგების სამინისტროს განყ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2887 3—2

დაიკარგა სამსახურის ნუსხა № 41 მიღებული რაჭის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან სიმონ ნესტორის ძის გვენცაძის სახელზე 1920 წ. 23 თებ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2883 3—2

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან, პასპორტი, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისგან, და მეტრიკული ამონაწერი სერგო პავლეს ძე ნოზაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2874 3—2

დაიკარგა ტფ. ქალაქის გამგეობიდან მიღებული საბადარიგო ჯარის ქალთა ოჯახების დახმარების წიგნაკი. № 79. აბრამ შიმხანის ძე აბადხანაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2849 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა სურათით № 915 მილიციონერი ვალიდი ლევანის ძე ბედოშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2881 3—2

დაიკარგა ატესტატი ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტიდან მოცემული იოსებ ნიკიფორეს ძე მებუკის სახელზე და მეტრიკული ამოწერილობა სანოდიდან მიღებული, გაუქმებულად ჩაითვალოს. (უფ.) 3—3

დაიკარგა მოწმობა № 3376 მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ რაზმის უფროსისგან აბდულა ალიევის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2850 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი მიღებული ტფილისის პოლიციმეისტრის კანცელარიიდან 1908 წ. 9 დეკემბერს № 14360 რახიმბეგ რახიმბეგოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2861 3—3

დაიკარგა საწევრო ბარათი № 57 მიღებული ომში დაჭრილთა და დასახიჩრებულთა კავშირიდან სიმონ ფილიპეს ძე ახალაძის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 2846 3—3

დაიკარგა ტფილისის სამხედრო უფროსის მიერ 28 მაისს 1920 წ. გაცემული მოწმობა № 4404 მუშელ მიკირტიჩის ძე ავაზოვის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 2847 3—3

დაიკარგა შინაური ხელწერილი მიცემული მარტინ სტეფანის ძე მარუნოვის მიერ კარაპეტ საავის ძე ალიხანოვზე რომ მას ე. ი. მარუნოვს მართებს სამოციათასი მან (60000) მან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2848 3—3

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო თანახმად კაკიბო მიხეილის ძე დავითაშვილის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს პასპორტი და ნუსხა, სთხოვს მპოვნელს აღნიშნული საბუთებისა წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლათ კუთვნილისამებრ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულად ჩაითვალოს. 2872 3—3

ტფილისის მე-21 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ გრაჩია ვასკანოვის ძის იოანისიანის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება იოანისიანის ქონებაზე, სამკან. კრებ. ქე. 10 ტ. 1 ნაწ. 1241 მ. აღნიშნულ ვადაში. 2900 1—1

ავლაბულაღის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულის სოფელ ივნოკაში, ტფილისის მაზრისა, მცხოვრ. მოქალაქის ნიკოლოზ აბრამის ძე ბილიავის მემკვიდრეთ, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლებები განსვენებულის ქონებაზე მე-10 ტ. 1 ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 2759 1—1

სოხუმის უბნის მომრიგებელი მოსამართლე აცხადებს, რომ ვექილობა მიცემული ხარლამპი პანაიოტის ძე ხორტოშაჯიდის მიერ ივანე სავვას ძე სიდიროპულოზე და შედგენილი სოხუმის ნოტარიუს ზატვორნიცკისთან 1920 წელს მარიამობისთვის 8-სა დღესა, რეესტრი ¿№ 1114, გაუქმებულია. 2805 1—1

ქუთაისის საერთო განათლების სალამოს კურსების (ჩინჩლაძის) სახელზე გაიგზავნა პაკეტი 17 დეკემბერს 1919 წელს რომელშიც იყო სამი სხმწიფის მოწმობა ამავე კურსების აბიტურიენტთა: 1. თინა ყარამანის ასულის გაჩეჩილაძისა № 12495, 2. ზელიტონ კიმობეს ძე თევდორაძის № 12496 და 3. შალვა იოსების ძე ჭელიძის № 12497. ზემოხსენებული საბუთები დანიშნულ ალაგას არ მოსულა, დაიკარგა, გაუქმებულად ჩაითვალოს 911 3—1

დაიკარგა პასპორტი ტაისია ნიკოლოზის ასული ჩერნიშევის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2899 3—1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ელენე დავითის ასული ამილახვარის სახელზე დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფ. ნოტარიუსისგან 1893 წ. რეესტრით № 70. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2894 3—1

მცხეთის უბნის მომრიგებელი მოსამართლე თანახმად სამოქალაქო საქმ. წესდ. XVI ტომისა 1407 მუხლისა აცხადებს, რომ უკვალოდ დაკარგულ იაპონელის ქალის კიჩი სუგიუს მემკვიდრენი თუ არიან ვინმე ექვსი თვის განმავლობაში წარმოსდგნენ მცხეთის სასამართლოში შესაფერ საბუთით, მისგან დატოვებულ ნივთების მოძრავ ქონების მისაღებად, რაიც სასამართლოშია შენახული. 2757 1—1

დაიკარგა უვადო პასპორტი ალექსანდრე სტეფანეს ძე ფურცხვანიძის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიციმეისტერის სამმართველოდან 1910 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2892 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი № 51 ოლღა ვასილის ასული ბაზავოვას სახელზე, მიღებული პეტროგრადის მე-4 საპოლიციო უბნიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2890 3—1

ბათომის უბნის სამოქალაქო განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე, იწვევს გარდაცვალებულის ანა ანდრიას ასულის ციტოვიჩის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ მე-X ტომის პირველ ნაწილის მე-1239-ტე მუხლში გათვალისწინებული უფლებები გარდაცვალებულის ციტოვიჩის ქონებაზე. 2753 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიხეილ ალექსანდრეს ძე მორთულაძის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2886 3—2

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში ნიკოლოზ ივანეს ძე ნეფედოვი რომანოვსკიმ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი ანნა ალექსანდრეს ასული, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1879 წელს უკვალოდ დაიკარგა იმავ 1879 წლიდან, რის გამო თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც იცის დაკარგულ ანნა ალექსანდრეს ასულის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის კანონთა ძალით, განუცხადოს სამიტროპოლიტო სასამართლოს ზემოხსენებულ პირის მისამართი დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა ორი თვის განმავლობაში. 2889 3—2

სახელმწიფო სტამბა. ოედაქტორის მოვალ. აღს. გოგოლ მაჭარაძე